31/10/2024

MES 3 24 0001397714

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.
მანანა ჯინჭარაძე - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
პეტრე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;

მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
მორის დანდურიშვილი - სსიპ-ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს წევრი;
ნატო გაბოშვილი - სსიპ - ქალაქ თბილისი N169 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს წევრი;
შალვა მეკრავიშვილი - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, სსიპ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სამოქალაქო განათლების ექსპერტი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:
ნინო სტეფანიშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
თეა ლილუაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ნინო ცხოვრებაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
რუსუდან ზვიადაური - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ნია გრიგალაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ქეთი მუთიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

სსიპ-მინდია აბაშიძის სახელობის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ თხილნარის N1 საჯარო სკოლა:
გულნაზ კარანაძე - სკოლის დირექტორი

სსიპ-ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭყვიშის საჯარო სკოლა:
მაკა ჭავჭანიძე - სკოლის დირექტორი

სსიპ-ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ხევის საჯარო სკოლა:
მერი ხადილაშვილი - სკოლის დირექტორი

სსიპ-ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ბენარის საჯარო სკოლა:
ნინო ფორჩხიძე - სკოლის დირექტორი

სსიპ-ქალაქ თბილისის N5 საჯარო სკოლა:
ზაზა ლომოური - სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

სსიპ-გიორგი ლეონიძის სახელობის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ პატარძეულის საჯარო სკოლა:
ნინო ნადირაძე -სკოლის დირექტორი

სსიპ-მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ნაგვაზაოს საჯარო სკოლა:
რომანოზ ქიქავა - სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

სსიპ - ქალაქ ბათუმის N10 საჯარო სკოლა:
დავით ეცადეიშვილი - სკოლის დირექტორი

სსიპ - გურამ რამიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის N20 საჯარო სკოლა:
ლელა სუხიტაშვილი -სკოლის დირექტორი

სსიპ - თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხიკვთას საჯარო სკოლა:
გურამ გიგაური - სკოლის დირექტორი

სსიპ - ქალაქ თბილისის N107 საჯარო სკოლა:
მარინე დემეტრაშვილი - სკოლის დირექტორი

სსიპ - ქალაქ თბილისის N39 საჯარო სკოლა:
ბესარიონ სიხარულიძე - სკოლის დირექტორი

სსიპ - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ვერტყვიჭალის საჯარო სკოლა:
ლენა აბაშიძე - სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

სსიპ - გიორგი ლომაძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლესის საჯარო სკოლა:
თინათინ გოგელია - სკოლის დირექტორი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტ ები):

სსიპ - მინდია აბაშიძის სახელობის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ თხილნარის N1 საჯარო სკოლა:

ა) ირმა ტატიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნინო უგრეხელიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ინგა ალავერდაშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ნანა ნიკოლაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ნინო წერეთელი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) თამარ ძველაია (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) მარინე ჩიტაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ლელა კვირტია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) მარინე ახალაია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ვლადიმერ უშიკიშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ეკატერინე კვირკველია (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭყვიშის საჯარო სკოლა:

ა) ირინა დვალი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნათია ღოღობერიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);

გ) ციცინო მექოშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ნინო მიმინოშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ინგა გოგალაძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ნანა ჭავჭანიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) თეა ხუროშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ნანა შალამბერიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ნათია ორმოცაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ლია ნეფარიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნათია ბრეგაძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ხევის საჯარო სკოლა:

ა) მაკა კანდელაკი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) მარიამ მატიაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ლელა გორდულაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) კახა გალდავა (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ნათია ლომთათიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ეკატერინე ხუცოშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ხათუნა მარკოზაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ლელა კვირტია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) მანანა შეროზია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) მიხეილ გაფრინდაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნინო კოვზიაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. საბჭოს სხდომა 2024 წლის 22 ოქტომბერს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 16:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ განმარტა, რომ საბჭოს არ ესწრებოდა მდივანი, მანანა ჯინჭარაძე და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების

ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ გადაწყვიტა, მისი ფუნქცია შეესრულებინა საბჭოს წევრს, ნატო გაბოშვილს.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. სსიპ-მინდია აბაშიძის სახელობის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ თხილნარის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ-ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭყვიშის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ-ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ხევის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ-ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ბენარის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
5. „სსიპ-ქალაქ თბილისის N5 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 08 დეკემბრის N 1673143 ოქმის პირველ ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა;
6. „სსიპ-გიორგი ლეონიძის სახელობის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ პატარძეულის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 08 დეკემბრის N 1673143 ოქმის მეხუთე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა;
7. „სსიპ-მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ნაგვაზაოს საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 08 დეკემბრის N 1673143 ოქმის მეექვსე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა;
8. „სსიპ - ქალაქ ბათუმის N10 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 08 დეკემბრის N 1673143 ოქმის მეშვიდე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა;
9. „სსიპ - გურამ რამიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის N20 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 13 დეკემბრის N 1704379 ოქმის პირველ ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა;
10. „სსიპ - თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხიკვთას საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 15 დეკემბრის N 1720478 ოქმის მეთერთმეტე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა;
11. „სსიპ - ქალაქ თბილისის N107 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 15 დეკემბრის N 1720478 ოქმის მეათე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა;
12. „სსიპ - ქალაქ თბილისის N39 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 15 დეკემბრის N 1720478 ოქმის მეორე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა;
13. „სსიპ - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ვერტყვიჭალის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 15 დეკემბრის N 1720478 ოქმის მეოთხე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა;
14. „სსიპ - გიორგი ლომაძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლესის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების

ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 15 დეკემბრის N 1720478 ოქმის მეექვსე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. სსიპ - მინდია აბაშიძის სახელობის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ თხილნარის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ირმა ტატიშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ-მინდია აბაშიძის სახელობის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ თხილნარის N1 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 04 და 05 სექტემბერს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 430. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 430 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულება დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებდა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის, სოფელ თხილნარში, თუმცა ასევე ჰქონდა შერწყმული კლასკომპლექტები სოფელ მურმანეთსა და სოფელ აგარაში.
ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილების შესახებ და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში იყო კეთილმოწყობილი, უსაფრთხო და მხარდამჭერი გარემო, რომელიც უზრუნველყოფდა მოსწავლეების აქტიურ ჩართულობას. სკოლა ხელს უწყობდა მოსწავლეთა პასუხისმგებლობის განვითარებას და სამოქალაქო ჩართულობას, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ კულტურული მემკვიდრეობის დაცვას, რელიგიური მრავალფეროვნების მიმართ, პოზიტიურ დამოკიდებულებასა და ტოლერანტობის დამკვიდრებას.
ექსპერტმა, ირმა ტატიშვილმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, რადგან 3.1 (პერსონალის მართვა) და 3.5

(მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა) კომპონენტები შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“ .
ექსპერტის თქმით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტის თქმით, სკოლა აქტიურად იყო ჩართული ისეთ საგრანტო პროექტებში, როგორებიც იყო: „ერთად გადავარჩინოთ კოლხური ბზა“, „მე მწვანე მომხმარებელი ვარ-გახდი შენც“, „დედამიწა პოლიეთილენის პარკების გარეშე“ და სხვა. აღნიშნული პროექტების ფარგლებში მიღებული თანხა იხარჯებოდა სკოლის საჭიროებებზე.
ექსპერტმა, ირმა ტატიშვილმა, წარმოადგინა დაწესებულების შენობის ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა კეთილმოწყობილი ბიბლიოთეკა, ექიმის ოთახი, რესურსოთახი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრი, მაკა მამფორია, დაინტერესდა, რამდენად უსაფრთხოდ ხდებოდა რესურსების შენახვა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიაში.
ექსპერტმა, ირმა ტატიშვილმა განმარტა, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის მიმდებარედ, სკოლას ჰქონდა ქიმიური რეაქტივებისა და რესურსების შესანახი ოთახი, სადაც დახურულ კარადაში, დაცულად იყო შენახული რესურსები.
საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის, ინგა ალავერდაშვილის განმარტებით, რესურსები სრულად დაცულ ადგილას ინახებოდა, გარდა ამისა, მასწავლებლებმა წარმოადგინეს მოსწავლეთა მიერ შექმნილი ნამუშევრები, რომელიც საკმაოდ მრავალფეროვანი იყო.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა ექსპერტს, განემარტა, რამდენად დამაკმაყოფილებელი იყო შეფასების რუბრიკები საბუნებისმეტყველო მეცნიერების მიმართულებით.
ექსპერტის, ინგა ალავერდაშვილის განმარტებით, სკოლას ჰქონდა როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, თუმცა საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, სკოლას მისცა რჩევა ეწარმოებინათ კვლევის ანაგრიში, დაკვირვების დღიურები და ექსპერტიმენტის ოქმები.
საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა, აღნიშნა, რომ სკოლის შესყიდვების გეგმაში იყო ერთ-ერთი მუხლი „სოციალური დახმარების სამსახური და მასთან დაკავშირებული მომსახურებები“ და დაინტერესდა, რა სახის მომსახურებას იძენდა სკოლა ამ მიმართულებით.
სკოლის დირექტორის, გულნაზ კარანაძის განმარტებით, აღნიშნული მუხლი გაწერილი იყო შესყიდვების გეგმაში, თუმცა, ამ მიმართულებით შესყიდვა არ განუხოცრიელებიათ. საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა სკოლას მისცა რჩევა, სკოლის ბიუჯეტი და შესყიდვების გეგმა მოერგოთ დაწესებულების საჭიროებებზე და იმ შემთხვევაში, თუ არ იყო რაიმე მომსახურების შეძენის საჭიროება, შესყიდვების გეგმაში არ უნდა აესახათ საორიენტაციო მუხლები, ასევე, რჩევის სახით განუმარტა, რომ ვებ-გვერდზე განეთავსებინათ ინფორმაცია, სკოლის ბიუჯეტის შესახებ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაცემული რჩევების უმრავლესობა ეხებოდა შეფასების რუბრიკებსა და კურიკულუმებს და მიმართა სკოლის წარმომადგენელს, განემარტა, რამ განაპირობა ამ ორი მიმართულებით რჩევების მრავალფეროვნება.
სკოლის დირექტორის, გულნაზ კარანაძის განმარტებით, კათედრებმა სხვადასხვა დროს შეიმუშავეს კურიკულუმების ჩარჩოები და ამან განაპირობა უზუსტობები. მისი განმარტებით, სკოლაში აქტიურად მუშაობდნენ კათედრები ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რჩევებსა და რეკომენდაციების გათვალისწინებაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ-მინდია აბაშიძის სახელობის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ თხილნარის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 430 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 16:25
დასრულების დრო - 16:34

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ-მინდია აბაშიძის სახელობის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ თხილნარის N1 საჯარო სკოლას (ს/კ: 248417529) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 430 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი თხილნარი; ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი აგარა; ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი მურმანეთი.
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი თხილნარი.

3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი თხილნარი.

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებას თან დაკავშირებით:

- **მონიტორინგი ცენტრის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისგანხილვით**

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 2025 წლის ოქტომბერში 3.1 და 3.5 კომპონენტებთან მიმართებით, უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობებისა და ეტლით მოსარგებლე სსსმ მოსწავლეებისათვის სკოლაში არსებული ყველა სივრცის ადაპტირების - ლიფტის/შიდა პანდუსის მოწყობის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

- **მონიტორინგი ექსპერტთა ჯგუფის შექმნით:**

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის ოქტომბრიდან; **მონიტორინგის განხორციელების ფორმა** - ექსპერტთა ჯგუფის მიერ დოკუმენტაციის შესწავლა; **მონიტორინგის ფარგლები:** მე-2 (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) სტანდარტი.

16:35 საათზე საბჭოს სხდომას შემოუერთდა საბჭოს მდივანი, მანანა ჯინჭარაძე.

2. სსიპ - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭყვიშის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ირინა დვალმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ-ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭყვიშის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 26 და 27 აგვისტოს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი და საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 49. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 49 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა, ირინა დვალმა, წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულებას ჰქონდა კეთილმოწყობილი სასწავლო გარემო, გარე სპორტული მოედანი, სკოლის შენობაში, დერეფნებში იდგა მაგიდის ჩოგბურთის მაგიდა. ექსპერტის თქმით, სკოლას ჰქონდა კომპიუტერული მეცნიერებების ოთახი, სადაც განთავსებული იყო 24 ერთეული კომპიუტერი, ბიბლიოთეკა, სამედიცინო კუთხე და ადაპტირებული სველი წერტილი.
ექსპერტმა, ირინა დვალმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი და საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტის თქმით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, სკოლის წარმომადგენელს მისცა რჩევა, მეტი ყურადღება დაეთმოთ მე-3 კლასის „მე და საზოგადოების“ კურიკულუმისთვის, ვინაიდან მოცემული იყო ბუნდოვანი დავალებები, ასევე, საგანში „ჩვენი საქართველო“ მეტად გამოეკვეთათ რაჭისა და ამბროლაურის მხარე.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, აღნიშნა, რომ მე-9 კლასის საგან „მოქალაქეობის“ კურიკულუმსაც ესაჭიროებოდა გადახედვა, ვინაიდან დავალებების ფორმულირება არ იყო მკაფიო და გასაგები, ასევე, არ მოიცავდა იმ თემებს, რასაც რეალურად უნდა სწავლობდეს მე-9 კლასის მოსწავლე.
საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა, აღნიშნა, რომ სასკოლო სასწავლო გეგმაში და ვებ-გვერდზე მითითებული მისიები იყო სხვადასხვა და სკოლის წარმომადგენელს მისცა რჩევა, გამოესწორებინა ეს საკითხი.
სკოლის დირექტორის, მაკა ჭავჭანიძის განმარტებით, დაწესებულებას ექსპერტთა ვიზიტის დროს შემუშავებული არ ჰქონდა ახალი სასკოლო სასწავლო გეგმა, შესაბამისად, საბჭოს წევრებს წვდომა ჰქონდათ წინა წლის სასკოლო სასწავლო გეგმაზე, ხოლო ახალი სასკოლო სასწავლო გეგმა უკვე განთავსებული იყო ვებ-გვერდზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ-ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭყვიშის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 49 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 16:56
დასრულების დრო - 17:04

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ-ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭყვიშის საჯარო სკოლას (ს/კ: 222943901) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 49 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ამბროლაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჭყვიში
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ამბროლაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჭყვიში

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებას თან დაკავშირებით:

- **მონიტორინგი ცენტრის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისგანხილვით**

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 2025 წლის ოქტომბერში 3.4 და 3.5 კომპონენტებთან მიმართებით, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის, საჯარო რეესტრის ამონაწერის, ლაბორატორიის მოწყობის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

- **მონიტორინგი ექსპერტთა ჯგუფის შექმნით:**

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის ოქტომბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ექსპერტთა ჯგუფის მიერ დოკუმენტაციის შესწავლა;
მონიტორინგის ფარგლები: მე-2 (დაწყებითი და საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) სტანდარტი.

3. სსიპ-ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ხევის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მაკა კანდელაკმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ-ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ხევის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 08 და 09 ივლისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 165. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 165 მოსწავლისთვის.
ექსპერტის განმარტებით, სკოლის ძირითად პრობლემას წარმოადგენდა მისი ინფრასტრუქტურა, რასთან დაკავშირებითაც, დაწესებულებას ჰქონდა მიწერილობა განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან, რომლის თანახმადაც გათვალისწინებული იყო სკოლის სრული რეაბილიტაცია. ექსპერტის განმარტებით, დაწესებულებას ჰქონდა ექიმის ოთახი, კომპიუტერული მეცნიერებების ლაბორატორია, რესურს ოთახი, შიდა სპორტული დარბაზი (რომელიც ასევე საჭიროებდა რეაბილიტაციას).
ექსპერტმა, მაკა კანდელაკმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტი შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“ და მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა „ნაწილობრივი“ შესაბამისობით.
ექსპერტის თქმით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომელებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, აღნიშნა, რომ ვებ-გვერდზე განთავსებული მისია, ხედვა და ღირებულებები, ასევე, მე-11 კლასის მოქალაქეობის კურიკულუმები საჭიროებდა გადახედვას, ვინაიდან მოცემული იყო ისეთი დავალება, რომელიც არ შეესაბამებოდა თემას, ასევე, საგანში „ჩვენ საქართველო“ არ იყო ასახული მშობლიური კუთხე და მიმართა სკოლის წარმომადგენელს გამოესწორებინა აღნიშნული საკითხები. გარდა ამისა, საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ მე-10 კლასის ისტორიის შემაჯამებელი დავალება მოიცავდა დეკლარატიულ ცოდნაზე დაფუძნებულ კითხვებს და არ ამოწმებდა სამიზნე ცნებებთან მიმართებით მოსწავლის მიღწევებს.
საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის, კახა გალდავას განმარტებით, საბჭოს წევრის მიერ ხაზგასმული საკითხები სკოლის წარმომადგენლებმა გამოასწორეს ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის პერიოდშივე, მისი თქმით, საბჭოს წევრის მიერ შესწავლილი დოკუმენტაცია იყო პირველად გადმოგზავნილი.
სკოლის დირექტორის, მერი ხადილაშვილის განმარტებით, გაითვალისწინა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რჩევები და განახლებული დოკუმენტაცია წარმოდგენილი ჰქონდათ სკოლის ვებ-გვერდზე, თუმცა გარკვეულ რჩევებსა და რეკომენდაციებზე კვლავ აქტიურად მიმდინარეობდა მუშაობა.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, აღნიშნა, რომ კომპლექსური დავალებების მეთოდოლოგია და ფორმულირება საჭიროებდა გადახედვას, ვინაიდან მოცემული იყო ისეთი კითხვები, რომელიც დაფუძნებული იყო დეკლარატიულ ცოდნაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ-ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ხევის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 165 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 17:23
დასრულების დრო - 17:31

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ-ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ხევის საჯარო სკოლას (ს/კ:243572451) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 165 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ხარაგაულის მუნიციპალიტეტი, სოფელი ხევი.
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ხარაგაულის მუნიციპალიტეტი, სოფელი ხევი.
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ხარაგაულის მუნიციპალიტეტი, სოფელი ხევი.

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებას თან დაკავშირებით:

- **მონიტორინგი ცენტრის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისგანხილვით**

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 2026 წლის ოქტომბერში 3.4 და 3.5 კომპონენტებთან მიმართებით, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის, შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნისა და შენობის სრული რეაბილიტიაციის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში. 2025 წლის ოქტომბერში კი, 2.2 კომპონენტთან მიმართებით, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის საჭირო ინვენტარით აღჭურვისა და სპორტული დარბაზის რეაბილიტაციის პროცესის მიმდინარეობის/პროცესის დასრულების მტკიცებულებების წარმოდგენა.

4. სსიპ-ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ბენარის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა

ცენტრის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სსიპ-ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ბენარის საჯარო სკოლას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 09 ნოემბრის N1519224 ოქმის საფუძველზე, განესაზღვრა რეკომენდაცია 2024 წლის ოქტომბრის ჩათვლით ცენტრში წარმოედგინა საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 ივლისის №463 დადგენილების მე-3 მუხლით გათვალისწინებული ნასამართლეობისა და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობები, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების დასკვნა (ორივე შენობისთვის: ბენარა და შოლავერი). აღნიშნული დოკუმენტაცია, დაწესებულებამ

წარმოადგინა 2024 წლის 10 ოქტომბერს და შემდგომი განხილვის მიზნით, მიეწოდა ავტორიზაციის საბჭოს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები დაწესებულების წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭომ ცნობად მიიღო, სსიპ-ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ბენარის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ.
საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ 2023 წლის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების რევიზიის შედეგად გადაწყდა, რომ სკოლებს, რომლებსაც მეორე სტანდარტში დაენიშნათ მონიტორინგი ვიზიტით, შეიცვალოს მონიტორინგით ექსპერტთა ჯგუფის მიერ დოკუმენტაციის შესწავლით. დავით მალაზონიამ განმარტა, რომ საგნობრივი ექსპერტები ვიზიტზე ჩართულები არიან ონლაინ კომუნიკაციის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით, რაც შესაძლებელს ხდის ვიზიტი განხორციელდეს დოკუმენტების შესწავლით. მან ასევე აღნიშნა, რომ ეს ხელს შეუწყობს დაწესებულების ფინანსების დაზოგვას.

5. „სსიპ-ქალაქ თბილისის N5 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 08 დეკემბრის N 1673143 ოქმის პირველ ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ განაცხადა, რომ 2023 წლის 08 დეკემბრის N1673143 ოქმში ასახული გარემოების საფუძველზე, სსიპ-ქალაქ თბილისის N5 საჯარო სკოლას (ს/კ: 202887723) მე-2 სტანდარტთან (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით 2025 წლის ნოემბრიდან დაენიშნა მონიტორინგი, ადგილზე ვიზიტით. საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ აღნიშნულ ოქმში უნდა შესულიყო ცვლილება, კერძოდ, მონიტორინგის ფორმად განსაზღვრულიყო ექსპერტთა მიერ დოკუმენტაციის შესწავლა მე-2 სტანდარტთან (ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით, 2025 წლის ნოემბრიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ,,სსიპ-ქალაქ თბილისის N5 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 08 დეკემბრის N 1673143 ოქმის პირველ ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება „სსიპ-ქალაქ თბილისის N5 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 08 დეკემბრის N 1673143 ოქმის პირველ ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მედეა ქოქრაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 04 და 05 ოქტომბერს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ თბილისში, ხუდადოვის ქ.#63-ში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 600 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 600 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა, მედეა ქოქრაშვილმა განმარტა, რომ 1-ლი, მე-2 (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-4 სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მე-3 სტანდარტი შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით, ასევე, მისი 3.1 (პერსონალის მართვა), 3.4 (ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება) და 3.5 (მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა) კომპონენტები შეფასდა „მეტწილად“.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები. აღნიშნული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრი, ზვიად გოგუაძე დაინტერესდა, რატომ არ იყო ორგანოგრამაზე დატანილი ინფორმაციული მენეჯერი.
ექსპერტმა, მედეა ქოქრაშვილმა განმარტა, რომ ეს იყო ტექნიკური ხარვეზი, რომელიც უკვე სკოლას გამოსწორებული ჰქონდა.
საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ თბილისის N 5 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 600 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრისშედეგები:
მომხრე- 11
წინააღმდეგი - 1

საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა მხარი არ დაუჭირა სსიპ - ქალაქ თბილისის N 5 საჯარო სკოლის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს, ვინაიდან დაწესებულებას არ ჰქონდა შენობის მდგრადობისა და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნები. შესაბამისად, მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და მათი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, იგი მხარს არ უჭერდა სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს.

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ქალაქ თბილისის N 5 საჯარო სკოლას (ს/კ: 202887723) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 600- ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი თბილისი, ხუდადოვის ქ.#63
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი თბილისი, ხუდადოვის ქ.#63
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი თბილისი, ხუდადოვის ქ.#63

საბჭომ 3.1, 3.4 და 3.5 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის პირველ ნოემბრამდე, კერძოდ; სკოლამ უნდა დაასაქმოს კანონმდებლობის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექიმი; უზრუნველყოს შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნის და არსებობის შემთხვევაში სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების აღმოფხვრის შესახებ გაცემული მიწერილობის წარმოდგენა; სკოლამ უნდა წარმოადგინოს შესაბამისობის გეგმაში გაწერილ ვადებში შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა; უზრუნველყოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება შესაბამის ორგანოსთან; სკოლამ უნდა დააკმაყოფილოს შესაბამისობის გეგმაში გაწერილი პირველადი დახმარების პირობები და სკოლამ უნდა უზრუნველყოს ინკლუზიური გარემოს მოწყობა, კერძოდ, ისტ-ისა

და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კაბინეტთან წვდომა და სველი წერტილების ადაპტირება.

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2025 წლის ნოემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან დოკუმენტების შესწავლა;
მონიტორინგის ფარგლები: მე -2 (ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო ფარგლები საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტი."

6. „სსიპ-გიორგი ლეონიძის სახელობის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ პატარძეულის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ" ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 08 დეკემბრის N 1673143 ოქმის მეხუთე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ განაცხადა, რომ 2023 წლის 08 დეკემბრის N1673143 ოქმში ასახული გარემოების საფუძველზე, სსიპ-გიორგი ლეონიძის სახელობის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ პატარძეულის საჯარო სკოლას (ს/კ: 238146332) მე-2 სტანდარტთან (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით 2025 წლის ნოემბრიდან დაენიშნა მონიტორინგი, ადგილზე ვიზიტით. საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ აღნიშნულ ოქმში უნდა შესულიყო ცვლილება, კერძოდ, მონიტორინგის ფორმად განსაზღვრულიყო ექსპერტთა მიერ დოკუმენტაციის შესწავლა მე-2 სტანდარტთან (ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით, 2025 წლის ნოემბრიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ-გიორგი ლეონიძის სახელობის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ პატარძეულის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ" ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 08 დეკემბრის N 1673143 ოქმის მეხუთე ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება „სსიპ-გიორგი ლეონიძის სახელობის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ პატარძეულის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ" ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 08 დეკემბრის N 1673143 ოქმის მეხუთე ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ

აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს წევრმა, მაკა მამფორიამ განაცხადა, რომ ის ვერ მიიღებდა აღნიშნული საკითხის განხილვასა და კენჭისყრაში მონაწილეობას, რადგან აღნიშნულ სკოლასთან ჰქონდა ინტერესთა კონფლიქტი. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, თამარ კეშელავამ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - გიორგი ლეონიძის სახელობის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ პატარძეულის საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 21 და 22 სექტემბერს. სკოლა მდებარეობდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, სოფელ პატარძეულში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 700 მოსწავლე. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტის პერიოდში სკოლაში ირიცხებოდა 364 მოსწავლე.

ექსპერტმა განაცხადა, რომ სტანდარტი 1 (სკოლის ფილოსოფია), სტანდარტი 2 (სასკოლო კურიკულუმი) და სტანდარტი 4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“; სტანდარტი 3 (სასწავლო რესურსის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ექსპერტმა აღნიშნა, რომ კომპონენტები 1.2, 3.1, 3.4, 3.5 და 3.6 „მეტწილად“ შეესაბამებოდა სტანდარტის მოთხოვნებს.

ექსპერტმა, თამარ კეშელავამ აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილად“, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.

ექსპერტმა თამარ კეშელავამ სკოლის საუკეთესო პრაქტიკის ფარგლებში აღნიშნა, რომ სკოლა მხარს უჭერდა მოსწავლეთა ინიციატივებს და არაფორმალურ აქტივობებს. სკოლაში ფუნქციონირებდა რამდენიმე კლუბი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდებოდა საინტერესო პროექტები. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლაში ფუნქციონირებდა ხაზვის წრე, სადაც XI- XII კლასის მოსწავლეები იღებდნენ დამატებით მომსახურებას გადასახადის გარეშე.

საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ ექსპერტს მიმართა კითხვით, რა რესურსი ჰქონდა სკოლას, რამდენ მოსწავლეს შეეძლო ესწავლა ერთ ცვლაში.

ექსპერტმა თამარ კეშელავამ აღნიშნა, რომ დაწესებულებას საგანმანათლებლო მომსახურების გაწევა ერთ ცვლაში შეეძლო 400 მოსწავლისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ სკოლას მიმართა კითხვით, რა განაპირობებდა სკოლაში მეორე ცვლის დამატების აუცილებლობას.

სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ნინო ბურდიაშვილმა აღნიშნა, რომ მოცემული დროისთვის სკოლაში ირიცხებოდა 364 მოსწავლე. ბოლო წლებზე დაკვირვებით,

შეინიშნებოდა მოსწავლეთა რაოდენობის მკვეთრი ზრდა. აქედან გამომდინარე, სკოლა თვლიდა, რომ კვლავ გაიზრდებოდა სკოლაში სწავლის მსურველი მოსწავლეთა რაოდენობა და საჭირო გახდებოდა ორცვლიანი სწავლება.
საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ ექსპერტს მიმართა კითხვით, რამდენად აუცილებელი იყო სკოლის ეზოში სპორტული მოედნის არსებობა.
ექსპერტმა თამარ კეშელავამ აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა დახურული სპორტული დარბაზი. სკოლის ეზოში იყო საკმარისი ფართი იმისთვის, რომ მოწყობილიყო ღია სპორტული მოედანიც. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა ჩათვალა, რომ სკოლაში ღია სპორტული მოედნის არსებობაც სასურველი იქნებოდა.
საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ სკოლის წარმომადგენელს მიმართა კითხვით რამდენად შეეძლო სკოლას ღია სპორტული მოედნის გაკეთება.
სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის, ნინო ბურდიაშვილის განცხადებით, სკოლის მოსწავლეები აქტიურად სარგებლობდნენ დახურული დარბაზით და საგაკვეთილო პროცესები მიმდინარეობდა შეუფერხებლად, სკოლა იზიარებდა ექსპერტების რჩევას და თვლიდან, რომ ღია სპორტული მოედნის მოწყობა სკოლაში იქნებოდა დამატებითი შესაძლებლობა საინტერესო პროექტებისა და აქტივობების განხორციელების თვალსაზრისით. ნინო ბურდიაშვილმა აღნიშნა, რომ სკოლის მოსწავლეები მონაწილეობდნენ ერთ-ერთ პროექტში, საიდანაც ელოდებოდნენ დაფინანსების მოპოვებას და აპირებდნენ გარე სპორტული მოედნის მოწყობას.
საბჭოს წევრმა თამარ მამსიკაშვილმა ყურადღება გაამახვილა სკოლაში მოწყობილ „განათლების ბაღზე“ და სკოლის დირექტორს მიმართა კითხვით, რას ემსახურებოდა აღნიშნული სივრცე. სკოლის დირექტორმა ნინო ბურდიაშვილმა აღნიშნა, რომ გასულ სასწავლო წელს სკოლის ერთ-ერთი მოსწავლე მონაწილეობდა პროექტში, სადაც მოიპოვა ფულადი ჯილდო. აღნიშნული დაფინანსების საშუალებით სკოლაში მოეწყო „განათლების სივრცე“, რომელიც აქტიურად გამოიყენება არაფორმალური განათლების ხელშეწყობის მიზნით.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ ყურადღება გაამახვილა სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებზე და აღნიშნა, რომ მეორე სტანდარტის კუთხით სკოლა საჭიროებდა მეტ მუშაობას.
სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ სკოლა აგრძელებდა კურიკულუმებზე მუშაობას და დახვეწას.
საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - გიორგი ლეონიძის სახელობის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ პატარძეულის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 700-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრისშედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 1

საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა მხარი არ დაუჭირა სსიპ - გიორგი ლეონიძის სახელობის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ პატარძეულის საჯარო სკოლის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს, ვინაიდან დაწესებულებას არ ჰქონდა შენობის მდგრადობისა და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნები. შესაბამის სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, ასევე ადაპტირებული
მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და მათი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, იგი მხარს არ უჭერდა სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს.

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - გიორგი ლეონიძის სახელობის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ პატარძეულის საჯარო სკოლას (ს/კ: 238146332) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 700- ით.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, სოფელი პატარძეული
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, სოფელი პატარძეული
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, სოფელი პატარძეული

მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2025 წლის ნოემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან დოკუმენტების შესწავლა;
მონიტორინგის ფარგლები: სტანდარტი 2 (სასკოლო კურიკულუმი- აწყებითი, საბაზო და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები).

საბჭომ 3.1, 3.4, 3.5 და 3.6 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2025 წლის ნოემბრამდე, კერძოდ: შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნა; შენობის სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნა; საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა; სკოლამ უნდა უზრუნველყოს სკოლის ექიმის ოთახში პაციენტის პრივატულობის უზრუნველსაყოფად გამყოფი შირმის მოწყობა; სკოლის პერსონალის პირად საქმეში განთავსდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობისა“ და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობები; მოხდეს დანომრვა შრომითი ხელშეკრულებების, დაწესებულებაში დამტკიცებული საქმისწარმოების წესის შესაბამისად და აღრიცხოს შესაბამის სარეგისტრაციო ჟურნალში;

მოხდეს ექიმის პირადი საქმის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა; სკოლამ უნდა მოახდინოს ადაპტირებული გარემოს დამადასტურებელი ფოტო-მასალის გადაგზავნა; მოხდეს ვებ- გვერდზე ყველა საჭირო მასალის განთავსება.“

7. „სსიპ-მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ნაგვაზაოს საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 08 დეკემბრის N 1673143 ოქმის მეექვსე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ განაცხადა, რომ 2023 წლის 08 დეკემბრის N1673143 ოქმში ასახული გარემოების საფუძველზე, სსიპ-მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ნაგვაზაოს საჯარო სკოლას (ს/კ: 235444079) მე-2 სტანდარტთან (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით 2025 წლის ნოემბრიდან დაენიშნა მონიტორინგი, ადგილზე ვიზიტით. საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ აღნიშნულ ოქმში უნდა შესულიყო ცვლილება, კერძოდ, მონიტორინგის ფორმად განსაზღვრულიყო ექსპერტთა მიერ დოკუმენტაციის შესწავლა მე-2 სტანდარტთან (ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით, 2025 წლის ნოემბრიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ-მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ნაგვაზაოს საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 08 დეკემბრის N 1673143 ოქმის მეექვსე ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება „სსიპ-მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ნაგვაზაოს საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 08 დეკემბრის N 1673143 ოქმის მეექვსე ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნინო ელბაქიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - მარტვილის

მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ნაგვაზაოს საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 09 და 10 ოქტომბერს. სკოლა მდებარეობდა მარტვილის მუნიციპალიტეტში, სოფელ ნაგვაზაოში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 250 მოსწავლე.

ექსპერტმა განაცხადა, რომ სტანდარტი 1 (სკოლის ფილოსოფია), სტანდარტი2 (სასკოლო კურიკულუმი- დაწყებითი, საბაზო და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები), სტანდარტი 3 (სასწავლო რესურსის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და სტანდარტი 4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ექსპერტმა აღნიშნა, რომ კომპონენტი 3.4 „მეტწილად“ შეესაბამებოდა სტანდარტის მოთხოვნებს.

ექსპერტმა, ნინო ელბაქიძემ აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.

ექსპერტმა, ნინო ელბაქიძემ სკოლის საუკეთესო პრაქტიკად დაასახელა გამართული და მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა. სკოლა რეაბილიტირებული იყო მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ. ექსპერტის განცხადებით, სკოლას ჰქონდა სამოქმედო გეგმა, რომლის შესაბამისადაც თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების მიზნით ხორციელდებოდა სხვადსხვა სახის პროექტები და ღონისძიებები, რაშიც სასკოლო საზოგადოებასთან ერთად თემიც აქტიურად იყო ჩართული. სკოლა ჩართული იყო სასწავლო და შემოქმედებით, მოსწავლეზე ორიენტირებულ პროექტებში. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლაში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობოდა პროფესიული ორიენტაციის საკითხს. სკოლაში მოქმედებდა ეკო-კლუბი, რომლის ფუნქციონირების ფარგლებშიც სკოლას მემორანდუმი ჰქონდა გაფორმებული ერთ-ერთ არასამთავრობო ორგანიზაციასთან. სკოლაში დაარსებული იყო აგრო- კლუბი, რომლის ფარგლებშიც სკოლის ეზოში გაშენებული იყო ხეხილის ბაღი. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლა იყო სრულად ადაპტირებული, როგორც პანდუსით, ისე ლიფტით.

საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრმა ეკატერინე კვირიკაშვილმა ყურადღება გაამახვილა შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნაზე და სკოლის წარმომადგენელს მიმართა კითხვით აღნიშნულ დასკვნაში მოცემული რეკომენდაციების შესრულების მიზნით, ჰქონდა თუ არა სკოლას მოცემული დროისთვის გადადგმული ქმედითი ნაბიჯები. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, რომანოზ ქიქავამ აღნიშნა, რომ სკოლა გეგმავდა აღნიშნულთან დაკავშირებით წერილობით მიემართა შესაბამის ორგანოებთან, რათა მომხდარიყო დასკვნაში მოცემული რეკომენდაციების შესრულება.

საბჭოს წევრი, მაკა მამფორია დაინტერესდა, რომელ წელს მოხდა სკოლაში სარეაბილიტაციო სამუშაოები.

სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა რომანოზ ქიქავამ აღნიშნა, რომ სკოლაში სარეაბილიტაციო სამუშაოები გასულ წელს განხორციელდა.

მაკა მამფორიამ სკოლის დირექტორ მიმართა კითხვით, სკოლაში სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებამდე შეინიშნებოდა თუ არა ის ხარვეზები, რაც მდგრადობის დასკვნაში იყო მოცემული.

სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის რომანოზ ქიქავას განმარტებით, მანამდე ასეთი სახის ხარვეზები არ შეინიშნებოდა.

საბჭოს წევრმა მაკა მამფორიამ სკოლის დირექტორს მიმართა კითხვით ირიცხებოდა თუ არა სკოლაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე და ჰქონდა თუ არა სკოლას რესურსოთახი.
სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა რომანოზ ქიქავამ აღნიშნა, რომ მოცემული დროისთვის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროები მქონე მოსწავლე სკოლაში არ ირიცხებოდა, თუმცა სკოლას ჰქონდა შესაბამისად აღჭურვილი რესურსოთახი.
საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ნაგვაზაოს საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 250-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ნაგვაზაოს საჯარო სკოლას (ს/კ : 235444079) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 250- ით.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	მარტვილის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვედა ნაგვაზაო
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	მარტვილის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვედა ნაგვაზაო
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	მარტვილის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვედა ნაგვაზაო

„**მონიტორინგის დაწყების პერიოდი:** 2025 წლის ნოემბრიდან;

მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან დოკუმენტების შესწავლა;
მონიტორინგის ფარგლები: სტანდარტი 2 (სასკოლო კურიკულუმი- დაწყებითი, საბაზო და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები).

საბჭომ 3.4 კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის ნოემბრამდე, კერძოდ: შენობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნისა და შესაბამის ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის წარმოდგენა.“

8. „სსიპ - ქალაქ ბათუმის N10 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 08 დეკემბრის N 1673143 ოქმის მეშვიდე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ განაცხადა, რომ 2023 წლის 08 დეკემბრის N1673143 ოქმში ასახული გარემოების საფუძველზე, სსიპ - ქალაქ ბათუმის N10 საჯარო სკოლას (ს/კ: 245429380) მე-2 სტანდარტთან (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით 2025 წლის ნოემბრიდან დაენიშნა მონიტორინგი, ადგილზე ვიზიტით. საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ აღნიშნულ ოქმში უნდა შესულიყო ცვლილება, კერძოდ, მონიტორინგის ფორმად განსაზღვრულიყო ექსპერტთა მიერ დოკუმენტაციის შესწავლა მე-2 სტანდარტთან (ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით, 2025 წლის ნოემბრიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ ბათუმის N10 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 08 დეკემბრის N 1673143 ოქმის მეშვიდე ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება „სსიპ - ქალაქ ბათუმის N10 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 08 დეკემბრის N 1673143 ოქმის მეშვიდე ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ

წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, თეა ტაბატაძემ. ექსპერტმა განაცხადა, სსიპ - ქალაქ ბათუმის N10 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 25 და 26 სექტემბერს. სკოლა მდებარეობდა ორ მისამართზე ჯავახიშვილის ქ. N66 -ში (I კორპუსი) და ბაგრატიონის ქ. N121-ში (II კორპუსი). სკოლა, პირველ კორპუსში ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ხოლო მეორე კორპუსში მხოლოდ დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას. პროგრამების განხორციელების ენა იყო ქართული. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 2552 მოსწავლეს, აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 2552 მოსწავლისთვის.

თეა ტაბატაძის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განახორციელა დაწესებულებაში ვიზიტი და ჩაატარა ინტერვიუები სკოლის ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან. დაწესებულების შეფასების პროცესში გამოიკვეთა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობები, თუმცა ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის სახით სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შეიცვალა. კერძოდ, პირველი სტანდარტი შეფასდა როგორც, „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მესამე სტანდარტი ასევე შეფასდა როგორც „ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, კომპონენტები 3.4, და 3.5 კი შეფასებული იყო „მეტწილი“ შესაბამისობით. რაც შეეხებოდა მეორე და მეოთხე სტანდარტს ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“

ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები. ხოლო, აღნიშნული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესი პრაქტიკაზე და აღნიშნა, რომ სკოლაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა არაფორმალურ განათლებას. ამ მხრივ სკოლაში წლების განმავლობაში წარმატებით მუშაობდა დებატკლუბი, რომელსაც ხელმძღვანელობდა სამოქალაქო განათლების მასწავლებელი. სკოლას ასევე ჰქონდა ესეების კონკურსში მონაწილეობის წარმატებული გამოცდილება.

ექსპერტმა, ასევე ისაუბრა დასკვნაში გაცემულ რჩევებზე, რომლებიც ეხებოდა მეორე სტანდარტს (სასკოლო კურიკულუმი-დაწყებითი, საბაზო და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები).

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

სსიპ - ქალაქ ბათუმის N10 საჯარო სკოლისავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 2552-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ქალაქ ბათუმის N10 საჯარო სკოლას(ს/კ: 245429380) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 2552- ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი ბათუმი; ჯავახიშვილის ქ.N66(I კორპუსი); ბაგრატიონის ქ.N121(II კორპუსი)
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი ბათუმი; ჯავახიშვილის ქ.N66(I კორპუსი); ბაგრატიონის ქ.N121(II კორპუსი)
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი ბათუმი; ჯავახიშვილის ქ.N66(I კორპუსი); ბაგრატიონის ქ.N121(II კორპუსი)

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

„**მონიტორინგის დაწყების პერიოდი:** 2025 წლის ნოემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან დოკუმენტების შესწავლა;
მონიტორინგის ფარგლები: მე-2 (ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტი.

საბჭომ 3.4 და 3.5, კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის ნოემბრამდე, კერძოდ, ორივე

კორპუსზე შესაბამის ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმები სა და ინკლუზიური გარემოს დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა.“

1. **„სსიპ - გურამ რამიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის N20 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 13 დეკემბრის N 1704379 ოქმის პირველ ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ განაცხადა, რომ 2023 წლის 13 დეკემბრის N1704379 ოქმში ასახული გარემოების საფუძველზე, სსიპ - გურამ რამიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის N20 საჯარო სკოლას (ს/კ: 203853829) მე-2 სტანდარტთან (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით 2025 წლის ნოემბრიდან დაენიშნა მონიტორინგი, ადგილზე ვიზიტით. საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ აღნიშნულ ოქმში უნდა შესულიყო ცვლილება, კერძოდ, მონიტორინგის ფორმად განსაზღვრულიყო ექსპერტთა მიერ დოკუმენტაციის შესწავლა მე-2 სტანდარტთან (ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით, 2025 წლის ნოემბრიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - გურამ რამიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის N20 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 13 დეკემბრის N 1704379 ოქმის პირველ ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება „სსიპ - გურამ რამიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის N20 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 13 დეკემბრის N 1704379 ოქმის პირველ ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვრიკაშვილმა განაცხადა, რომ ის ვერ მიიღებდა აღნიშნული საკითხის განხილვასა და კენჭისყრაში მონაწილეობას, რადგან გახლდათ იმ რესურსცენტრის ხელმძღვანელი, რომლის ტერიტორიულ ორგანოსაც განეკუთვნებოდა სსიპ - გურამ რამიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის #20 საჯარო სკოლა.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა

ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ხათუნა ბარაბაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 02 და 03 ოქტომბერს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. დაწყებითი საგანმანათლებლო პროგრამა განთავსებული იყო სხვა შენობაში, რომელიც მდებარეობდა ქალაქ თბილისში, მარი ბროსეს ქუჩა #8-ში, ხოლო საშუალო და საბაზო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების სწავლება მიმდინარეობდა ქალაქ თბილისში, ჯამბულის ქუჩა #5-ში. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 1500 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 1500 მოსწავლისთვის.

ექსპერტმა განმარტა, რომ 1-ლი, მე-2, მე-3 და მე-4 სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, თუმცა კომპნენტი 3.4 შეფასდა „მეტწილად“.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლა ახორციელებდა გერმანული ენის გაძლიერებულ პროგრამას, რის გამოც 2015 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 140/ნ ბრძანებით მიენიჭებული ჰქონდა გერმანული ენის გაძლიერებული სკოლის სტატუსი. აღნიშნული პროგრამა ხორციელდებოდა ორ ქვეყანას (საქართველო - გერმანია) შორის დადებული მემორანდუმის ფარგლებში. ასევე ექსპერტმა განმარტა, რომ სკოლაში აქტიურად მუშაობდა ეკო კლუბი, რომელიც დანიური ორგანიზაციის გარემოს დაცვის ფონდის „ცირკულარული ეკონომიკის ხელშეწყობა“ დაფინანსებით ახორციელებდა პროექტს- „გავუფრთხილდეთ გარემოს-ქაღალდის დამუშავება“. გარდა ამისა, სკოლა წარმატებით ახორციელებდა პროფესიული განათლების ორ პროგრამას მე-9 და მე-11 კლასებში, კერძოდ, ტანსაცმლის დიზაინი და კონსტრუირება, კომპიუტერული ტექნოლოგიები-საოფისე პროგრამები.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები. აღნიშნული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.

საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან

საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ, კითხვით მიმართა ექსპერტს რატომ არ ჰქონდა სკოლას უსტატუსო მასწავლებელთან გაფორმებული ხელშეკრულება.

ექსპერტმა, ხათუნა ბარაბაძემ განმარტა, რომ ვინაიდან უსტატუსო მასწავლებელს სკოლა ვერ დაასაქმებდა კონკურსის გარეშე, აღნიშნული ექსპერტთა ჯგუფის მხირდან აღქმული იყო სპეციალურ მომწესრიგებელ აქტად.

საბჭოს წევრი, მაკა მამფორია დაინტერესდა, გრძელდებოდა თუ არა პროფესიული განათლების მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებები.

ექსპერტმა, ხათუნა ბარაბაძემ დაადასტურა, რომ პროფესიული განათლების ხელშეწყობისა და განვითარების მიმართულებით სკოლაში აქტიურად მიმდინარეობდა ღონისძიებები.

საბჭოს თავმდჯომარე, დავით მალაზონიამ გარკვეულ ხარვეზებს გაუსვა ხაზი ისტორიის სწავლების მიმართულებით. კერძოდ, სასწავლო რესურსად მითითებული იყო მხოლოდ სასკოლო სახელმძღვანელო, ასევე ჰქონდა შენიშვნები კომპლექსური დავალებების იდეასთან.

საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა, მედიკო ჯიქიამ განმარტა, რომ აღნიშნული მიმართულებით ექსპერტთა ჯგუფის მხრდან გაცემული იყო რჩევები.

საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - გურამ რამიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის N20 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1500 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრისშედეგები:

მომხრე- 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - გურამ რამიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის N20 საჯარო სკოლას (ს/კ: 203853829) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1500 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქ.თბილისი ჯამბულის ქუჩა #5 ;
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქ.თბილისი ჯამბულის ქუჩა #5 ;
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქ.თბილისი ჯამბულის ქუჩა #5 ;

„**მონიტორინგის დაწყების პერიოდი:** 2025 წლის ნოემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან დოკუმენტების შესწავლა;
მონიტორინგის ფარგლები: მე-2 (ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტი.

საბჭომ 3.4 კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაცია და რეკომენდაციის შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის ნოემბრამდე. კერძოდ, შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნის წარმოდგენა.“

1. **„სსიპ - თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხიკვთას საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 15 დეკემბრის N 1720478 ოქმის მეთერთმეტე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ განაცხადა, რომ 2023 წლის 15 დეკემბრის N 1720478 ოქმში ასახული გარემოების საფუძველზე, სსიპ - თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხიკვთას საჯარო სკოლას (ს/კ: 230867185) მე-2 სტანდარტთან (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით 2025 წლის ნოემბრიდან დაენიშნა მონიტორინგი, ადგილზე ვიზიტით. საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ აღნიშნულ ოქმში უნდა შესულიყო ცვლილება, კერძოდ, მონიტორინგის ფორმად განსაზღვრულიყო ექსპერტთა მიერ დოკუმენტაციის შესწავლა მე-2 სტანდარტთან (ზოგადი განათლების დაწყებით და საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით, 2025 წლის ნოემბრიდან. ამასთან, აღნიშნულ გადაწყვეტილებაში ფიქსირდებოდა ტექნიკური შეცდომა, მონიტორინგი განსაზღვრული იყო დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე. ვინაიდან დაწესებულება ახორციელებს მხოლოდ დაწყებითი და საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, საჭიროა აღნიშნული ტექნიკური ხარვეზის გასწორებაც.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „სსიპ - თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხიკვთას საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 15 დეკემბრის N 1720478 ოქმის მეთერთმეტე ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის და 59-ე მუხლის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება „სსიპ - თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხიკვთას საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 15 დეკემბრის N 1720478 ოქმის მეთერთმეტე ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა, განაცხადა, რომ ის ვერ მიიღებდა აღნიშნული საკითხის განხილვასა და კენჭისყრაში მონაწილეობას, რადგან მოცემულ სკოლასთან ჰქონდა ინტერესთა კონფლიქტი. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მარიამ ჭყონიამ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხიკვთას საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 9 და 10 ოქტომბერს. სკოლა მდებარეობდა ორ მისამართზე, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხიკვთაში და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ აბელიანში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი და საბაზო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 60 მოსწავლეს, აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 60 მოსწავლისთვის.
მარიამ ჭყონიას განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განახორციელა დაწესებულებაში ვიზიტი და ჩაატარა ინტერვიუები სკოლის ადმინისტრაციასა და მასწავლებლებთან. დაწესებულების შეფასების პროცესში გამოიკვეთა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობები, თუმცა ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულების მიერ არგუმენტირებული პოზიციის სახით სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შეფასება შეიცვალა. კერძოდ, პირველი სტანდარტი შეფასდა, როგორც „ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, თუმცა კომპონენტი 1.2 შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისად, მესამე სტანდარტი შეფასდა, როგორც „ ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, კომპონენტები 3.1, 3.2, 3.4 3.5 და 3.6 კი შეფასებული იყო მეტწილი შესაბამისობით. რაც შეეხებოდა მეორე სტანდარტს, შეფასებული იყო მეტწილ შესაბამისად, ხოლო მეოთხე სტანდარტი ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“
ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილი ან ნაწილობრივი შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები. ხოლო, აღნიშნული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე და აღნიშნა, რომ სოფელ ჩხიკვთაში არსებული სკოლის შენობა იყო ახლად რეაბილიტირებული და მისი ინფრასტრუქტურა შეესაბამებოდა სტანდარტის მოთხოვნებს, ხოლო სოფელ აბელიანში მდებარე შენობა იყო ძველი აშენებული, საჭიროებდა რეაბილიტაციას და არ იყო ადაპტირებული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებმა - შალვა მეკრავიშვილმა და პეტრე ბაბილუამ აღნიშნეს, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები მოიცავდა ხარვეზებს და სთხოვეს ექსპერტებს ამ საკითხთან დაკავშირებით მეტი დეტალი წარმოედგინათ საბჭოსთვის,
საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა, ხათუნა ჯიმშიაშვილმა, აღნიშნა, რომ სკოლამ უზრუნველყო კურიკულუმების განახლებული ვარინტების გამოგზავნა, თუმცა მოცემული ვერსიებიც მოიცავდა გარკვეულ უზუსტობებს, რომელთან დაკავშირებითაც გაიცა რჩევები.
მათემატიკის საგნობრივმა ექსპერტმა, თამარ მურუსიძემ, დაადასტურა ზემოხსენებული. მისი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტურად სკოლამ ვერ შეძლო სრულყოფილად წარმოედგინა პერსონალის მუშაობის ამსახველი პროცესები, სკოლის ხელმძღვანელსა და პედაგოგებს ჰქონდათ მაღალი მზაობა, გამოესწორებინათ ყველა ხარვეზი და შეექმნათ სტანდარტის შესაბამისი კურიკულუმები.
საბჭოს თამჯდომარემ სკოლის დირექტორს სთხოვა მეტი დეტალი წარმოედგინა სკოლის შენობასთან დაკავშირებით, რომელიც მდებარეობდა სოფელ აბელიანში და რომელშიც ამჟამად სწავლობდა მხოლოდ სამი მოსწავლე.
სკოლის დირექტორმა, გურამ გიგაურმა, განაცხადა, რომ აღნიშნულ შენობაში გასულ წლებში სწავლობდა 45 მოსწავლე, რაც დროთა განმავლობაში შემცირდა სკოლის შენობის არასახარბიელო ინფრასტრუქტურის გამო.
თეთრიწყაროს რესურსცენტის წარმომადგენელმა, ნინო მესტვირიშვილმა აღნიშნა, რომ აღნიშნული შენობის რეაბილიტაცია იგეგმებოდა 2024 წელს. მისი განცხადებით, სკოლა წარმოადგენდა სოფლისთვის მნიშვნელოვან ნაწილს, შესაბამისად, რებილიტაციის შემდეგ მოსწავლეთა რაოდენობა გაიზრდებოდა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხიკვთას საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 60-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრისშედეგები:

მომხრე - 10
წინააღმდეგი - 1

საბჭოს ერთმა წევრმა მხარი არ დაუჭირა სსიპ - თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხიკვთას საჯარო სკოლის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს, ვინაიდან სკოლას არ ჰქონდა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის, შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნები და საგანგებო სიტუაციების მართვის შესაბამის უწყებასთან შეთანხმებული გეგმა, შესაბამისად მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, არ მიიჩნეს მიზანშეწონილად შენობაში სასწავლო პროცესის განხორციელება.

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“

ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხიკვთას საჯაროსკოლას (ს/კ: 230867185) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 60- ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფელი ჩხიკვთა, სოფელი აბელიანი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფელი ჩხიკვთა, სოფელი აბელიანი

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

„**მონიტორინგის დაწყების პერიოდი:** 2025 წლის ნოემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან დოკუმენტების შესწავლა;
მონიტორინგის ფარგლები: მეორე სტანდარტი (ზოგადი განათლების დაწყებით და საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები).

საბჭომ 1.2, 3.1, 3.4, 3.5 და 3.6 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის დეკემბრამდე, კერძოდ, შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნების , საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის წარმოდგენა სკოლას ასევე განესაზღვრა რეკომენდაცია წარმოადგინოს კანონმდებლობით დადგენილი ცნობები (საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 ივლისის №463 დადგენილების მე-3 მუხლით გათვალისწინებული ნასამართლეობისა და უფლების ჩამორთმევის შესახებ). შეიმუშავოს დოკუმენტი, სადაც გათვალისწინებული იქნება პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები, განაახლოს საჯარო რეესტრიდან ამონაწერი და ვებ გვერდზე განათავსოს ინდიკატორით გათვალისწინებული ინფორმაცია. საბჭოს გადაწყვეტილებით, სკოლამ უნდა შეიმუშაოს და წარმოადგინოს 1.2.1.2, 1.2.1.3 და 1.2.1.4 ინდიკატორით გათვალისწინებული დოკუმენტაცია კერძოდ შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა, რომელიც დაეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც დაეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას, ერთწლიანი სამოქმედო გეგმაში, გათვალისწინებული უნდა იყოს სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები.“

11. „სსიპ - ქალაქ თბილისის N107 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 15 დეკემბრის N 1720478 ოქმის მეათე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ განაცხადა, რომ 2023 წლის 15 დეკემბრის N 1720478 ოქმში ასახული გარემოების საფუძველზე, სსიპ - ქალაქ თბილისის N107 საჯარო სკოლას (ს/კ: 208145345) მე-2 სტანდარტთან (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით 2025 წლის დეკემბრიდან დაენიშნა მონიტორინგი, ადგილზე ვიზიტით. საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ აღნიშნულ ოქმში უნდა შესულიყო ცვლილება, კერძოდ, მონიტორინგის ფორმად განსაზღვრულიყო ექსპერტთა მიერ დოკუმენტაციის შესწავლა მე-2 სტანდარტთან (ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით, 2025 წლის დეკემბრიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „სსიპ - ქალაქ თბილისის N107 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 15 დეკემბრის N 1720478 ოქმის მეათე ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება „სსიპ - ქალაქ თბილისის N107 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 15 დეკემბრის N 1720478 ოქმის მეათე ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, თამარ აბაზაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ

თბილისის N107 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 25 და 26 ოქტობერს. სკოლა მდებარეობდა თბილისში, ლილოს დასახლებაში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 1700 მოსწავლეს, აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 1700 მოსწავლისთვის.

თამარ აბაზაძის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განახორციელდა დაწესებულებაში ვიზიტი და ჩაატარა ინტერვიუები სკოლის ადმინისტრაციასა და მასწავლებლებთან. დაწესებულების შეფასების პროცესში გამოიკვეთა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობები, თუმცა ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულების მიერ არგუმენტირებული პოზიციის სახით სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შეფასება შეიცვალა. კერძოდ, პირველი სტანდარტი შეფასდა როგორც „ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მესამე სტანდარტი შეფასდა, როგორც „ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, რაც შეეხებოდა მეორე და მეოთხე სტანდარტებს, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. კომპონენტები 3.4 და 3.5 კი შეფასებული იყო მეტწილი შესაბამისობით.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები. ხოლო, აღნიშნული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე და აღნიშნა, რომ სკოლაში დასაქმებული იყო მოტივირებული და მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებული პედაგოგიური კოლექტივი, პედაგოგთა უმრავლესობა ჩართული იყო არაერთ საერთაშორისო პროექტში. ფორმალურ განათლებასთან ერთად სკოლა დიდ ყურადღებას უთმობდა არაფორმალურ განათლებას. სკოლაში ფუნქციონირებდა სასკოლო კლუბები. ასევე ისეთი კლასები, სადაც განათლებას იღებდნენ სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის მქონე მოსწავლეები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრმა, პეტრე ბაბილუამ, აღნიშნა რომ მათემატიკის კურიკულუმები იყო ნაწილობრივ შევსებული და ექსპერტს სთხოვა მეტი დეტალი წარმოედგინათ საბჭოსთვის.

მათემატიკის საგნობრივმა ექსპერტმა, აღნიშნა, რომ ვიზიტისას გაცემული რეკომენდაცია ეხებოდა მითითებულ რესურსებს. სკოლამ უზრუნველყო დამატებითი დოკუმენტაციის გადმოგზავნა და გამოხატავდნენ მზაობას, გამოესწორებინათ ხარვეზები.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა, აღნიშნა, რომ სკოლას სჭირდებოდა ვებ-გვერდის განვითარება და ინფორმაციისგანთავსება. მისივე განცხადებით, დაწესებულების ორგანიგრამა, ხედვა, მისია და ფილოსოფია საჭიროებდა გადახედვას და რედაქტირებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ თბილისის N107 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1700-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრისშედეგები:

მომხრე - 11
წინააღმდეგი - 1

საბჭოს ერთმა წევრმა მხარი არ დაუჭირა სსიპ - ქალაქ თბილისის N107 საჯარო სკოლის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს, ვინაიდან სკოლას არ ჰქონდა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის, შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნები და საგანგებო სიტუაციების მართვის შესაბამის უწყებასთან შეთანხმებული გეგმა, შესაბამისად, მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, მან არ მიიჩნია მიზანშეწონილად შენობაში სასწავლო პროცესის განხორციელება.

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ქალაქ თბილისის N107 საჯარო სკოლას (ს/კ: 208145345) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1700- ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	თბილისი, ლილოს დასახლება
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	თბილისი, ლილოს დასახლება
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	თბილისი, ლილოს დასახლება

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

„**მონიტორინგის დაწყების პერიოდი:** 2025 წლის დეკემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან დოკუმენტების შესწავლა;
მონიტორინგის ფარგლები: მეორე სტანდარტი (ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები).

საბჭომ 3.4, და 3.5 კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის დეკემბრამდე, კერძოდ, შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის, შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნებისა და ინკლუზიური გარემოს დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა.“

12. „სსიპ - ქალაქ თბილისის N39 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 15 დეკემბრის N 1720478 ოქმის მეორე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ განაცხადა, რომ 2023 წლის 15 დეკემბრის N 1720478 ოქმში ასახული გარემოების საფუძველზე, სსიპ - ქალაქ თბილისის N39 საჯარო სკოლას (ს/კ: 209468823) მე-2 სტანდარტთან (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით 2025 წლის დეკემბრიდან დაენიშნა მონიტორინგი, ადგილზე ვიზიტით. საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ აღნიშნულ ოქმში უნდა შესულიყო ცვლილება, კერძოდ, მონიტორინგის ფორმად განსაზღვრულიყო ექსპერტთა მიერ დოკუმენტაციის შესწავლა მე-2 სტანდარტთან (ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით, 2025 წლის დეკემბრიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „სსიპ - ქალაქ თბილისის N39 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 15 დეკემბრის N 1720478 ოქმის მეორე ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება „სსიპ - ქალაქ თბილისის N39 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 15 დეკემბრის N 1720478 ოქმის მეორე ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა

დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ცირა ნიკოლაიშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 12 და 13 ოქტომბერს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ თბილისში, გლდანის I მ/რ-ში, ანგია ბოჭორიშვილის ქ. N57 -ში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 2000 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 2000 მოსწავლისთვის.
ექსპერტის, ცირა ნიკოლაიშვილის თქმით, პირველი, მეორე და მეოთხე სტანდარტები შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მესამე სტანდარტი შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ვინაიდან, კომპონენტები 3.1; 3.4 და 3.5 შეფასდა მეტწილი შესაბამისობით.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები. აღნიშნული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
შემდგომში თავადვე დაინტერესდა, თუ რა გახდა საფუძველი იმისა, რომ ნახევრად ცარიელი დოკუმენტაცია ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან შეფასებული იყო, როგორც სტანდარტებთან შესაბამისი. გარდა ამისა, რა ეტაპზე იყო სკოლის ეზოს დასუფთავების სამუშაოები.
საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა, ირმა ავალიანმა, განმარტა, რომ ვიზიტი განხორციელდა იმ პერიოდში, როდესაც ხდებოდა კურიკულუმების დახვეწა, შესაბამისად, ადგილზე გაცემული იყო რჩევები, რომლებიც მასწავლებლებმა გაითვალისწინეს და ვიზიტის პერიოდშივე წარადგინეს შემუშავებული კურიკულუმები.
სკოლის დირექტორმა, ბესარიონ სიხარულიძემ, აღნიშნა რომ სკოლამ გაითვალისწინა ყველა ის რეკომენდაცია, რაც ექსპერტების მხრიდან იყო გაცემული. ეზოს გაწმენდით სამუშაოებთან დაკავშირებით, სკოლა ელოდებოდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსგან თანხმობას, რომლის შემდგომაც დაიწყებდა შესაბამისი სამუშაოების წარმართვას.
საბჭოს წევრი, მაკა მამფორია, დაინტერესდა და სკოლის წარმომადგენელს ჰკითხა, ატარებდა თუ არა დაწესებულება დიაგნოსტიკურ წერებს წიგნიერების მიმართულებით.
სკოლის დირექტორმა, ბესარიონ სიხარულიძემ, განმარტა, რომ სკოლა დიაგნოსტიკურ წერებს აქტიურად ახორციელებდა.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ თბილისის N39 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 2000- ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრისშედეგები:

მომხრე- 11
წინააღმდეგი - 1

საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა მხარი არ დაუჭირა სსიპ - ქალაქ თბილისის N39 საჯარო სკოლის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს, ვინაიდან დაწესებულებას არ ჰქონდა შენობის მდგრადობისა და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნები. შესაბამისად, მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და მათი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, იგი მხარს არ უჭერდა სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს.

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ქალაქ თბილისის N39 საჯარო სკოლას (ს/კ: 209468823) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 2000-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი თბილისი, გლდანი I მ/რ, ანგია ბოჭორიშვილის ქ. N57
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი თბილისი, გლდანი I მ/რ, ანგია ბოჭორიშვილის ქ. N57
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი თბილისი, გლდანი I მ/რ, ანგია ბოჭორიშვილის ქ. N57

საბჭომ 3.1, 3.4 და 3.5 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის დეკემბრამდე, კერძოდ, სკოლამ უნდა უზრუნველყოს: პირად საქმეებში სრულყოფილად წარმოადგინოს ცნობები, “სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენის ნასამართლობის შესახებ” და “საგანმანათლებლო დაწესებულებაში დასაქმების უფლების ჩამორთმევის შესახებ” შიდა და გარე პერიმეტრის სამშენებლო ნარჩენებისგან გაწმენდა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში განსაზღვრული ვადის დაცვით, სახანძრო

უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში განსაზღვრული ვადის დაცვით, ინკლუზიური გარემოს მოწყობა და ფსიქოლოგის, ენისა და მეტყველების თერაპევტის დასაქმება შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში განსაზღვრული ვადის დაცვით.

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:
„**მონიტორინგის დაწყების პერიოდი:** 2025 წლის დეკემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან დოკუმენტების შესწავლა;
მონიტორინგის ფარგლები: მეორე სტანდარტი (ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები).

13. „სსიპ - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ვერტყვიჭალის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 15 დეკემბრის N 1720478 ოქმის მეოთხე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ განაცხადა, რომ 2023 წლის 15 დეკემბრის N 1720478 ოქმში ასახული გარემოების საფუძველზე, სსიპ - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ვერტყვიჭალის საჯარო სკოლას (ს/კ: 243572184) მე-2 სტანდარტთან (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით 2025 წლის დეკემბრიდან დაენიშნა მონიტორინგი, ადგილზე ვიზიტით. საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ აღნიშნულ ოქმში უნდა შესულიყო ცვლილება, კერძოდ, მონიტორინგის ფორმად განსაზღვრულიყო ექსპერტთა მიერ დოკუმენტაციის შესწავლა მე-2 სტანდარტთან (ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით, 2025 წლის დეკემბრიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „სსიპ - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ვერტყვიჭალის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 15 დეკემბრის N 1720478 ოქმის მეოთხე ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება „სსიპ - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ვერტყვიჭალის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 15 დეკემბრის N 1720478 ოქმის მეოთხე ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ

აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, გოჩა შუბითიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 16 და 17 ოქტომბერს. სკოლა მდებარეობდა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ვერტყვიჭალაში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 300 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განაცხადა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 300 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა, გოჩა შუბითიძემ განმარტა, რომ პირველი, მეორე, მეოთხე და მესამე სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს, თუმცა კომპონენტი 3.4 შეფასდა მეტწილი შესაბამისობით.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ 3.4 კომპონენტთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები. აღნიშნული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.

საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია, დაინტერესდა გაეცნო თუ არა სკოლა ექსპერტების მიერ გაცემულ რეკომენდაციებსა და რჩევებს და რა ეტაპზე იყო შენობის მდგრადობის დოკუმენტის მოპოვების პროცესი.
სკოლის დირექტორმა, ლენა აბაშიძემ, განმარტა, რომ რეკომენდაციებსა და რჩევებზე მუშაობა სკოლას დაწყებული ჰქონდა. შენობის მდგრადობის დოკუმენტთან დაკავშირებით კი აღნიშნა, რომ სამხარაულის ბიუროს წარმომადგენლების ვიზიტი დაწესებულებაში უკვე შედგა და სკოლა ელოდებოდა შესაბამის დასკვნას.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ვერტყვიჭალის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 300-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე- 11
წინააღმდეგი - 1

საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა მხარი არ დაუჭირა სსიპ - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ვერტყვიჭალის საჯარო სკოლის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს, ვინაიდან დაწესებულებას არ ჰქონდა შენობის მდგრადობისა და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნები. შესაბამისად, მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და მათი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, იგი მხარს არ უჭერდა სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს.

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ვერტყვიჭალის საჯარო სკოლას (ს/კ: 243572184) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 300-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ხარაგაულის მუნიციპალიტეტი, სოფელი ვერტყვიჭალა
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ხარაგაულის მუნიციპალიტეტი, სოფელი ვერტყვიჭალა
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ხარაგაულის მუნიციპალიტეტი, სოფელი ვერტყვიჭალა

საბჭომ 3.4 კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის დეკემბრამდე. კერძოდ: უზრუნველეყო შენობა-ნაგებობის მდგრადობისა და სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნების წარმოდგენა.

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

„**მონიტორინგის დაწყების პერიოდი:** 2025 წლის დეკემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან დოკუმენტების შესწავლა;
მონიტორინგის ფარგლები: მეორე სტანდარტი (ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები).“

14. „სსიპ - გიორგი ლომაძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლესის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 15 დეკემბრის N 1720478 ოქმის მეექვსე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ განაცხადა, რომ 2023 წლის 15 დეკემბრის N 1720478 ოქმში ასახული გარემოების საფუძველზე,სსიპ - გიორგი ლომაძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლესის საჯარო სკოლას (ს/კ: 233727802) მე-2 სტანდარტთან (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით 2025 წლის დეკემბრიდან დაენიშნა მონიტორინგი, ადგილზე ვიზიტით. საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ აღნიშნულ ოქმში უნდა შესულიყო ცვლილება, კერძოდ, მონიტორინგის ფორმად განსაზღვრულიყო ექსპერტთა მიერ დოკუმენტაციის შესწავლა მე-2 სტანდარტთან (ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით, 2025 წლის დეკემბრიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „სსიპ - გიორგი ლომაძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლესის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 15 დეკემბრის N 1720478 ოქმის მეექვსე ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება„სსიპ - გიორგი ლომაძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლესის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 15 დეკემბრის N 1720478 ოქმის მეექვსე ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს

წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ვარდენ ნიქაბაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - გიორგი ლომაძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლესის საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 27 და 28 სექტემბერს. სკოლა მდებარეობდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, სოფელ ლესაში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 210 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განაცხადა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 210 მოსწავლისთვის.

ექსპერტმა განმარტა, რომ პირველი და მეოთხე სტანდარტები შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. მეორე სტანდარტის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმები შეფასებული იყო როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. საბაზო და საშუალო საფეხურებზე კომპონენტი 2.2. მეტწილად შეესაბამეებოდა სტანდარტის მოთხოვნებს. მესამე სტანდარტი შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ექსპერტმა აღნიშნა, რომ კომპონენტები 3.1, 3.3, 3.4 მეტწილად შეესაბამებოდა სტანდარტის მოთხოვნებს.

ექსპერტმა, ვარდენ ნიქაბაძემ, აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.

ექსპერტმა სკოლის საუკეთესო პრაქტიკის ფარგლებში აღნიშნა, რომ დაწესებულება ითვლიდა არსებობის საუკუნოვან ისტორიას და აღზრდილი ჰყავდა არაერთი წარმატებული მოსწავლე. ექსპერტის განცხადებით, სკოლის კურსდამთავრებულის, გერმანიის ბუნდესტაგის საგარეო პოლიტიკის მრჩეველის, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის, მიხეილ სარჯველაძის, მიერ სკოლის წარჩინებული მოსწავლეებისთვის დაწესებული იყო სტიპენდია.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრმა, მაკა მამფორიამ, ექსპერტებს მიმართა კითხვით, კურიკულუმებში იყო თუ არა რაიმე სახით ასახული სკოლის მისიაში წარმოდგენილი ჯანსაღი ცხოვრების წესთან მიმართებით არსებული იდეა. ექსპერტმა, ვარდენ ნიქაბაძემ, აღნიშნა, რომ როგორც სამოქმედო, ისე სტრატეგიულ გეგმაში აღნიშნულ საკითხზე აქცენტი კეთდებოდა.

საბჭოს წევრი დაინტერესდა, რამდენად იყო აღნიშნული საკითხი ბმაში მეორე სტანდარტთან.

უცხო ენების საგნობრივმა ექსპერტმა, ნონა ბეროშვილმა, აღნიშნა, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილ ინტეგრირებულ პროექტში ჩანდა თანხვედრა პირველ და მეორე სტანდარტებს შორის.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა, ყურადღება გაამახვილა სკოლის მიერ წარმოდგენილ ბიუჯეტზე და აღნიშნა, რომ 2023 წლის ბიუჯეტში წყლის გადასახადში 0 ლარი იყო გათვლილი. ამდენად, მან სკოლის წარმომადგენელს სთხოვა განემარტა მოცემული საკითხი.

სკოლის დირექტორმა, თინათინ გოგელიამ, აღნიშნა, რომ წყალმომარაგებაზე გამრიცხველიანება სოფელში არ იყო, გარდა ამისა დაწესებულებას ჰქონდა ჭა. შესაბამისად, სკოლა წყლის გადასახადს არ იხდიდა.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა, სკოლის წარმომადგენელს მიმართა კითხვით, რომელ წელს და ვის მიერ იყო სკოლა რეაბილიტირებული.
სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ სკოლა რეაბილიტირებული იყო 2019 წელს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ. მისი განმარტებით, სკოლას შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნის მოპოვების მიზნით უკვე ჰქონდა მიწერილი სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტის ეროვნულ ბიუროსთან და სკოლა მოცემული დროისთვის ელოდებოდა შესაბამის რეაგირებას.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - გიორგი ლომაძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლესის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 500-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11
წინააღმდეგი - 1

საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა განმარტა, რომ, ვინაიდან, დაწესებულებას არ ჰქონდა შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა და ასევე დასკვნა შენობა-ნაგებობის სახანძრო - უსაფრთხოების შესახებ, შესაბამისად, მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და მათი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, იგი მხარს არ უჭერდა სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს.

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, 27- ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - გიორგი ლომაძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლესის საჯარო სკოლას (ს/კ : 233727802) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 210- ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი

				(მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ლესა.
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ლესა.
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ლესა.

მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2025 წლის დეკემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან დოკუმენტების შესწავლა;
მონიტორინგის ფარგლები: მეორე სტანდარტი (ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები).

საბჭომ 3.1, 3.3, 3.4 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის დეკემბრამდე. კერძოდ: ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის, შენობა - ნაგებობის მდგრადობისა და შენობა - ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნების წარმოდგენა. ასევე სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „ხარიხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დებულების“ გარდამავალი მუხლების შესაბამისად სკოლამ უნდა გაწეროს და დაამტკიცოს პროცესების აღმწერი დოკუმენტები, მათ შორის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის აღმწერი დოკუმენტი.“

დღის წერსიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, 18:00 საათზე საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო

საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს სხდომის მდივანი
გაბოშვილი ნატო

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა